

- კლუბის საქმიანობა და მიზნებია:
 - ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა ფეხბურთში, კლუბის პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება;
 - ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში; ფეხბურთის, როგორც მასობრივი სპორტის განვითარება;
 - ყველა ოფიციალური და ამხანაგური საფეხბურთო მატჩებში მონაწილეობის უზრუნველყოფა;
 - სენაკის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო გუნდების ფორმირება და მომზადება;
 - კლუბის მოსწავლეების (სპორტსმენების) და სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული ჭაბუკი სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება;
 - კლუბის მოსწავლეებისათვის (სპორტსმენებისათვის) მატერიალურ-ტექნუკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა;
 - თანამედროვე საწვრთნელი პროცესის დანერგვა;
 - სპორტულ-მეთოდური საქმიანობის წარმოება, მონაწილეობის მიღება სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებათა, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, ფეხბურთის ფედერაციის და სხვა სპორტულ ორგანიზაცია-დაწესებულებათა მიერ ორგანიზებულ კვალიფიკაციის ამაღლების კურსებში, სემინარებში და სხვა;
 - კლუბის მოსწავლეთათვის (სპორტსმენთათვის) სამედიცინო-დიაგნოსტიკური, სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროცესის ორგანიზება;
 - კლუბის თანამშრომელთა და სპორტსმენთა სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა;
 - საფეხბურთო ინსტრუქციებისა და დებულებების შესრულების უზრუნველყოფა;
 - სხვა მომსახურება საქართველოს კანონმდებლობის, წინამდებარე წესისა და სენაკის მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტების შესაბამისად.